

033208

1883

№ 1, 0163040.

თბილისი.

ექვთიმე ხელაძეს სტამბა.

1883

## შინაარსი:

I « ივერიის განცხადება . . . . .	3
II ცაკო, მოთხროსა ა. მოჩეულარიძისა . . . . .	7
III ტერალება და რენცო ბენოსისა (რეფინისა) (თარგ. ელ. მამულაშვილისა) . . . . .	72
IV თ. ა. ჭავჭავაძის ლექსები . . . . .	100
V ლეონ ზამბეტა . . . . .	103
VI ამაო სურვილი (ლექსი) ა. ბაქრაძისა . . . . .	130
VII შინაური მიმოხილვა. ქუთაისის პანკი—« ურომის » წი- ნა-სიცყვაობა—ცუცული ჯვრცმა « ურომის » მურომელისა —საწყალნი მსმენელნი—ბანების აპეკა—რა უჟაშია—ბავ- შები თუ გაბრიუებულნი?—რა არის კრედიტი საერთოდ და საადგილო-ბამულო ცალკე—მიწა და მიწათ. მოქმედება—რა მოეთხოვება კრედიტს საადგილომამულოს—რის გარედ არ არის კრედიტ—მეხსა ვაშლი რად არ ასხია—ბანკია მი- ზეზი თუ სხვა რამ—მაგალით — « ურომის » ჯვარცმულს მურომელის. . . . .	131
VIII ხილად (ახალ-წლის გამო) სტ. ჭრელაშვილისა . .	144
IX მეროპიელის აზრი ჩვენს ლიტერატურაზე. . . . .	155
X ბანცხალებანი. . . . .	163

# ՈՅԵՐՈՅ

ՖԱՎՈԼՈՒԹՈՅՄ ՀԱ ՍԵԼՈՒԹԵԼՈՒԹՇԽՈՄ  
ՉՇԽԵԱԼՈ

6020

Իշլովաճո մշակուլք

№ I



տօնքածո

Այցողոյ Երևանի Կույսն, Հռոմեա-Ձեռոյթով յշխանց  
1883



Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Января 1883 г.

## 816 ცხადება

ქურნა აღმის

«0 3 0 6 0 0 6»

გამოცემაზე 1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).

1883 წელს სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი «ივერია» გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, ორგორც აქამიძე გამოდიოდა. მხოლოდ რედაქციაში მიიღო ყოველივე ღონისძიება, ორმ ჟურნალი შინაარსით უფრო სრული იყოს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი მოვლენა, ორმეტიც კი მოხდება ან ჩვენს ცხოვრებაში, ან რუსეთისაში, ან უცხო მკეუნებისაში, ჟურნალმა უურნადღებოდ არ დასტოვოს.

ჟურნალს აღუთებეს თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქცია ეცდება, ორმ რომანებისა და მოთხოვბების ჩვენის ცხოვრებიდამ უფრო მეტი ადგილი ეჭიროთ ჟურნალში, ვიდრე აქამიძე კვირათ. ეხდა რედაქციის ხელშია აამდენიმე მოთხოვლა ჩვენის ცხოვრებიდამ, ორმეტიც მომავალს წელს ჟურნალში იქნებიან დაბეჭიდილი.

უმთავრესი უურადღება ჟურნალში ძიჭცეული გმნება შინაურს მიმობილვას. აგრეთვე თვისა-და-თვის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი განუღილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხო

ქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები, სამეცნიერო წერილები, თეატრი და სხვ. გარემოებათა შესაფერად, ოქანის ეცდება, ორმ უოკელივე ამ განუთვილებათა განი კონცლად და წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რაღაც ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ ასებობს, ამისათვის ოქანის ეცდაქციამ მიუმარა უურნალს შედაგი განუთვილება, ორმ მმობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღრანისძიება თვალ-უფრი აღვნონ პედაგოგის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენში გამოცდილმა პედაგოგებმა აღგვითქვას ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

ოქანის ბოდიშს იხდის თავის მკითხველებთან, ორმ წარსულში უწერნალი ხშირად თავ-თავის, დროზედ კერ გამოდიოდა და შემდეგში ეცდება იგი, ორმ ამ დაგვიანების მიზეზები მოსპოს, რამოდენადც კი ოქანის ეცდაქციაზედ არის დამოკიდებული, და უოკელი წიგნი თვისა-და-თვის თავს გამოსცეს.

«ივერიაში» მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი შირნია დ. ზ. ბაქრაძე, ი. ბაქრაძე, ეკ. გაბაშვილისა, გ. გაბაშვილი, ი. ბოგებაშვილი, თ. რაფ. მრისთავი, გ. თუმანიშვილი, ეკ. ილაშვილიანი, ნ. ლომაური, ი. მეუნარგია, ა. მოჩხებარიძე (შაჩბეგი), ა. ნანეიშვილი, თ. შორდანია, ნ. მანანოვი, მ. შიფრიანი, გ. შიფრიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხულადოვი, მლ. ჯანაშვილი და სხვ.

სელი-მოწერა უურნალს «ივერიაზედ», მიიღება მხოლოდ მთელის წლის ვადით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შეიღი მანათო.

ესაც ერთად შემოტანა გაუმნელება, შეუძლიან ჯერ ათხო მანათი შემოატანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე 1883 წლისა.

სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ დაქიმობათ წელიწადში სუთ მანათად, ან პირველში სამი მანათი და ორი მანათი პირველს მაისამდე 1883 წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

მუთაის ში, პილაძის მაღმზაში.

იბილის ში: შავერდოვის სააგვნტოში, ბულვარზე,  
ალექსანდროვის ბაფთან და ნანუკოვის და ჭაბადრის საა-  
გვნტოში, ბულვარზედპე, ბელოვის სახლში; აგრეთვე რედაქ-  
ციაში, ურველ-დღე დღის რვა საათიდამ ათ საათამდე. რე-  
დაქცია იმულიება, გოლოვინის პროსპექტზე (ბულვარზე),  
ონათვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9.  
ქალაქს გაცემები მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ად-  
რესთ უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ  
Въ Редакцію журнала «ИВЕРИЯ.»*

რედაქტორები ილია ჭავჭავაძე და  
ი. მაჩაბელი.

ც ი პ ლ \*)

(მოთხოვა)

სოფელის ფხელშეში, ორმედიც თითქოს არეულა უსწორ-  
მასწოროდ და ღლოროდ ამართულს მთებში, გაცალკევებით,  
ერთს გორაკაზედ, სდგას ჰატარა, ორ-სართულიანი სახლი,  
თავისივე ჰატარა კულთი და უკან დიდის, მაგრამ დაჩვრეულის  
შენობით; ეს შენობა თავდება ოთხ-კუთხად აუკლებულის კოშ-  
კით, ორმლის სათავიდგანაც სათოვფურებს მკაფიოს მუქარით  
შირი დაუღრეხნათ. ორგორც ეტეობა, ორდეს-ღაც ეს უოფილა  
სადგური რომელიმე გამძლავრებულის და მაშასადამე კარგის  
შეძლების მქონე კაცისა, მაგრამ ეხლა კი ჭამთა ვითარებას და  
ხანს იმისთვის თავის შეუბრალებელი დაღი დაუსკამას. დიდი  
სახლი ჩანგრეულა და კოშკიც, ომდენსამე ადგილას გაზარუ-  
ლი, ერთის მხარეს გადმოზნექილა.

იმ დროს, ორმედსაც შექება ჩვენი მოთხოვას, ამ ჰა-  
ტარა სახლში იჯდა სამი დედა-კაცი და კახშამსა სკამდა.

უკლაზედ უფროსი იმათში, «შავ-თვალა», ოთხმოც წელი  
გადაცილებული იქნებოდა. ის იყო მოსუცებული, ცოტათი წელ-  
ში მოხრილი და შეურილობა უმტკიცებდა, ორმ ღაცესმე ასოვანის  
და წერწეტის ტანის მქონე უნდა უოფილიყო. «შავთვალა»

\*) ციკო—ქალის საზელია მოხევეებში.

ოთხმოც წელს, გადაცილებული იქნებოდა. იმისი, ჩაცვივნული და  
ამღვრეული თვალები, გამსდარი, დაღურებილი და მოგძელო ში-  
რისახე, თხელი ტუჩები ამტკიცებდენ, რომ არა ერთხელ ენახა-  
გაჭირვება და მწუხაობება, რომელთან ბრძოლასაც თავის ნიშ-  
ნებით დაეხადა, დაესერთა ამ ადამიანის გული და სისხე.

ეს გახდეთ ბება დამაშის, ცქოიალა ციკოსი, იმ ცი-  
კოსი, რომელზედაც ჭლე-გამოუშევებულივ მოსებე მწუხაშისგან  
ასალ-ასალი დექსი გამოითქმოდა, რომელსაც ასალ-ასალი ქე-  
ბა შეასხმოდა, ციკო იურ შეა-ტანისა, მაგრამ განსაცვიფრე-  
ბელის სისწორით შეერიდა და ისე წვრილი, რომ გაცი იტ-  
ებოდა «ბეჭედში ამოძრებათ.» მშენიერს თეთრის სახეზედ,  
ვარდასვით უღვიოდა ლოუები და პატარა ტუჩების იქიდვებ მო-  
ხანდა ბროლის მზეაგსი თეთრი ბრწყინვალე და სწორე კბი-  
ლები. ლურჯი უუუნა თვალები, რომელთაც გარს მცველებად  
ჰავი გრძელი წამწამები შემორტყმოდა, უგელას იზიდამდა და  
ანატრებდა, გამძლარიულ იმათის ცმერით. ქრის, მაგრამ ბრწყი-  
ნავი და რიბლი თმები, რომელიც ხშირს ნაწინვებად უკარ-  
მსრებზედ, ზეპის მოსევის ქალს შენის აღუძრავდა. ამას დაუ-  
მატეთ იმის მხრარული სასიათი, სიმღერისა და თამაშობის  
წოდება, განთქმული სელ-საქმე და თქენ დარწმუნდებით, რომ  
უტრს მოხევეს დაუვთხობდა ძილს იმაზედ ფიქრი.

მესამე დედა-გაციც იურ შეა-ხნისა, გამსდარი და მაღა-  
ლის ტანისა. იმის გაცრეცილი პირისახე და სიცოცხლეს მოგ-  
ლებული თვალები, ამტკიცებდენ, რომ დიდი სანია ავად-მურ-  
ოობას «დაუგდია» და შეუძრავებელს სენს შეუცერია მოედი  
იმისი ავადულება. ეს გახდეთ ციკოს დედა «საზუა.»

როდეს-ზაც ამ ოჯახობას წამოსადეგი სიცოცხლით საკუ-  
სე გაშ-გაცები აღვიძებდენ მუდმივის ლხინით და არ აკლებ-

დენ სტუმარის და მოკუთხეს, მაგრამ «შავ-ოვალას» ქმარი გა-  
იტაცა თავისუფლების სურვილმა და მირაგად (ყაჩაღად) გა-  
ვარდნილმა ჩიმის ციხესიმან დაზიან სული უაზახებთან ბრძოლაში.

იმისათ თურ შებლი შეიძნა მსხვერპლი ასმალებთან ბრძო-  
ლისა; მესამეც ბეგარაზედ გაგდებული, რუსის ჭარებისთვის  
გზების საკუთხებლად, თოვლის დამარხსა.

იმის შემდეგ ამ სახლობას შეადგენდენ მარტო ეს საძირ დედა-  
გაცი, ორმეულთავანაც უფროსის ახსოვები ის დრო, ორდესაც  
კურ საქართველო რუსეთის ან შეერთებოდა, შეათანხას რაოდენიმე  
სიხარული ქმარ-მაზილებთან და უმცროსის კი მარტო კაჭირვება,  
ბეგარა, უსამართლობა და, რაც უკეთაზედ საზიზდარი იუ-  
იმისათვის, რუსების სახლში ჩაეწენება, ორმეულთ ხვეულებრივი  
დაურიდებლობა, გარუკნილი ფსევდობა და დაუკარგობა ამღელ-  
გარებდა, აშევოთებდა იმის თავ-მოუვარეობას.

«შავ-ოვალა» და საზუა კერძის პირას ისტენ, გაშალათ  
სონხა, ორმეულზედაც ეწყო ნაცარში გამომცხვარი სმელი ქ-  
რის პური (გუდუნა), ზამდენიმე თავი სახვი და წყალში გახ-  
სნილი მარილი. იქმი გრერდით ედგათ შატრა კლება «კაპ-  
რით» \*).

ცივის გრძელის ასალუსის კალთები უკან გადაეცეცა, ჩაეგ-  
დო განიერის მემის სარტყელში, სიფაქიზისთვის ჩამოეგანა  
«უფლანა» (ფართული) და ისე მისჯდომოდა კერას. ცეცხლზედ  
ჩუსჩუხებდა საკიდელზედ ჩამოკრდებული ქვაბი, ზომლის უკ-  
რისთვისაც ქალის სელი გაკვლო და შეუჩერებლივ ახმრევდა.

«შავ-ოვალაში» აიღო პური, გასტესა, და ლძერთის სსენების  
შემდეგ უკმაყოფილოდ წამოიძახა:

\*.) «კაპარი» ქართველი გაკეთებული სასმელია,

— ასა, რათ უნდა უურ ამას?... ქვასაკით გამხმარა და ჩემ-  
თვის კი აღარც გვილებია, აღარც ღრძილები!

— მარილ-წყალში ჩააწე და დალბების, უპასუხა ხაზუამ.

მოხუცმა დაუწყო მარილიან. წყალში ჩაწება ჰურის, მაგ-  
რამ ხაცარში გაჭერებულს რა გაალბობდა ისე ჩერა? ამისთვის,  
ამოღების შემდეგ, მოხუცმა გამშრალის ტუჩებით ბაგშვისაკით  
წეწნა და წოვა დაუწყო ამ უცნაურს საჭმელს.

— ციკო! მოუბრუნდა «შავთვალა» უძაწვილ-ქალს.

— რათ გინდა?

— კარტოსას თუ არ ხარშამ? \*)

— არა — «ხინჯლებია» \*\*). ამ სიტყვაზედ ციკომ სელი შე-  
აჩერა

— ნუ გაჩერდი, ქალავ, ერთ-ურთს მიეკვრიან, დასძასა დე-  
დამ.

— ნივრის ხინჯლები, უკმაყოფილოდ წარმოასოქა მოხუცმა.

— რათ ცხოვრებაა ჩემი ცხოვრება?... ღთის მადლმა, ცოდო-  
ბრალის მეტი არც რაა!... ცხოვრება ბარადაა, რომ უბე-  
ლაფერი იშოვების... აბა იქ რას გაიჭირებენ მარხოჩი?!...  
ღებიო, მწვანილი, ნიგოზი, ზეთი, ღთის მოწყალება უგელა.  
იშოვების.

— კარტოსაი მოგისარშო? ჭკითხა ციკომ. აი აქე ჩავური,  
უჩენა ქვაზედ.

— არა, ქალასი, ნივრიანი არ მინდა.

— ცეცხლში ჩაგითფლა?

\*) კარტოსი — კარტოფილი.

\*\*) ნივრის ხინჯალი — ცომში გამოხვეული დანაყოფი ნიორი.  
წყალში მოხარული.

— უენ იცი.

ის იყო ციკლ წამოდგა «კარტოხის» მოსატანად, ოთხესაც კარები ვიღამაც დაარახუნა, ციკლ შესდგა და ისე დარჩა რაოდენსამე ხახს.

— ვინ იქნება ამ შეადამისას?

— გაიძე დაღუპულმა! დაიძახა ციკლ. — რუსები თუ მოიყვანეს დასაუენებლად.

— რუსები იქნებიან მაშ ცხლ ვინა?

კარებიდამ მოისმა კიდევ ბრახუნი და კაცის ხმა.

— შინ არავინაა, თუ რაია?

— ვინა ხარ, რაი გინდა? ჭყითხა ხაზუამ და წამოიწიგა გარისაკენ.

— მე ვარ, ვაალე.

— პავლიათ არის, წასჩურჩულა დედას ციკლ, — ყაზახი პავლიათ.

— პავლიას რაი უნდა ამ შეადამისას?

— რუსების მოიყვანდა დასაუენებლად.

— პავლიაუ, შენა? გასძახა ხაზუამ.

— ჟო, მე ვარ.

— რაი გინდა?

— გააღე კარი.

— თუ საჭმე გაჭმს, მანდედანაც გმეტყვა, ვარს რაისთვის გავაღებ?

— საჭმე მაჭმს, მაშა...

— რაი საჭმე.

— გააღე და მაშინ გაიგებ.

— დედაისი, ნუ გაუღებ, შეეხვეწა ციკლ.

— გააღე, რაიდა! არ ისევენებდა პავლია.

— რაისთვი გავაღო? — არ გავაღებ.

— სელმწიფის სამსახურის კაცის როგორ შეიძლიან გარა  
არ გაუღო? მოისმა მეორის ხმა.

— რას თავს იგდებთ, კილაცასი სართ?! შეუტია მოსუცმა:

— ამ შეა-დაძისას რაი კარგის გაღებისა?

— ცოტის სახის სიჩემე ჩამოვარდა ეტერბოდა, რომ გა-  
რეთ მეორი რჩევაში იყვნენ.

— საზუან! ბოლოს მოისმა პეგლიას ხმა.

— რად გინდს?

— დუქანი გატესეს და მოელი სოფელი ამბობს, რომ ჭურ-  
ლებიც და საჭურდალიც თქვენს სახლში არის დამაფულიო...  
მე კუჭინები, რომ თქვენ ისეთი საფხვი არა სართ, მაგრამ არ  
მიჭერებენ... გააღე, დევ თითონ დარწმუნდენ, რომ თქვენი  
სახლი ჭურდების ბისა არაა.

— ბესა! ადრეა იტერდი, შე ცოდვიასო! მისაცა საზუან გა-  
სუხი და გავაკრებულმა სელი გააკლო გარების ურდეული.

— რაიო? იგითხა მოსუცმა.

— დუქანი გაუტესიათ და უჩირ ჩვენზედ მოაჭირ.

— გაუღე, გაუღე! სახოს თავიანთ ბეჭინიერის თვალით, სახოს.

საზუანმ ძღვენი მოასწორო გარების გაღება, როდესაც სუ-  
თი შეიარაღებული გაცი შემოვარდა, მივარდა პირდაპირ ციკოსი,  
რომელიც შეძირ გადაფორნ მიგუნჭულიყო. ერთი ამ სუთა-  
განი იყო მთიელი გუგუა, რომელიც ციკოსი სიყვარულის შეპა-  
რა და სხვებთან ერთად იმის მოასტრიცად მოსულდეს.

გულ-გახეთქილი მოსუცმი და საზუან გარებში ხაუდგნენ.

— ჩვენს ლეჩაქებს ეცით პატივი.

— ჟუდები გხურნეთ, მანდილები ცორმ არა.

— სამუსი აღარ გაქვსით, აჭუ!

ერთი-ერთმანერთს არ აცდიდენ. მოხუცი და იმისა რძალი, შემოსულებმა პასუხი არ მიუგეს, მისცივდენ ციკლს და წიკილ-კიკილით კარებისებენ წაიყვანეს.

ციკლი დედა დაქბდაუკა იმათ, მაგრამ ჩქარა მომორეს თავიდგან და სელის კურით იქვე მდგარის გოდორებზედ «გადარეხვეს.» მოსუცმა; რა ნახა, ორმ სკეჭა, ადარ გადის, მთის ხალხში. შემოღებული უკანასკნელი სამუალება იხმარა: მოიხადა თავიდგან მანდილი და წინ ივესებ-ქვეშ გაუმაღა,

— ჩემს მანდილი დასდევთ პატივი!

ამ შემთხვევაში, მთიელთ ჩვეულებით, რომ მოსისხლე რომ ერთმანერთზედ იარაღით მისული უოვილიურ, იმათ შძინვარების წასაჭებლად იქვე მოკლედი მმა, ან. შვილი ჰვდებოდათ, მეზომოლით ფეხ-ქვეშ მერდინის ჩაგდების შემდეგ, ისინიც კი სელს აიღებდენ ერთმანერთისაგან, მაგრამ პავლიას და იმის ამსახავებს კი ეს წმინდა სასალსო ჩვეულება სამასხალოდ და სასაცილოდ ეჩვენა. თითონ გუგუა კი იქამდის გაეტაცა ციკლითან შეურთვის სურვილს, ორმ გორება-დაბნეულს კურ მოექცია, რას სჩადიოდებ იმისი ამსახავები, რომელნიც გარეუცნილნა მებატონე ღუდუშაურთან და ნაჩალნიკ-დიანბეგებთან გდებით, საკიროდ აღარა. სითვლიდენ ძველი, წმინდა სასალსო ჩვეულება უმასქოდ და შეურუკლად შეენახათ. იმათ გადალასეს მოხუცის მერდინი და სარჩარით გააჭირეს ქალი, რომელსაც უგირილით და ჩხავილით მოხუცი უკან მისდევდა...

ისინი შესხდენ ცხენებზედ, რომელნიც იქვე ექნათ და წუთზედ თითქოს ჩაინიშნენ დამის უფრეოულში; მოხუცის კი თავის ძველი დრო მოაკონსდა და გასავმირავის სმით დაიძახა: — სოფელო! მდევარი, მდევარი!... მტერ მოგვდგომია კარი! ხალხი ისევ ძველებურად, ისევ მარდად, საჩქაროდ და

შეიარაღებული გამოცვივდა სახლებიდგან, მაგრამ რა შავთვა-  
ლას მიუახლოებენ და გაიგეს მიზეზი იმის მწესარებისა, უკუ-  
ლანი უცებ გახუმდენ.

— კაცები კერ იცან, კინ იყვნენ? ბოლოს ჭკითხეს იმას.

— ჭარ, ჭარ, რომ ვიცან!... ერთთ ჰავლია, მეორე მისეილა  
ყაზახები, ორნიც ღუდუშაურიანთ ბიჭები და ერთთც ზალიანთ  
გუგუათ... არ იქა, გასწიეთ... აი, ასე წავიდნენ... უქინებოდა  
მოხუცი და გულ-დაწუკილი უფრებდა ხალხს, რომელიც ია-  
რალით ხელში იდგა და კერა მოეხერხებინა-რა.

— თუ დიაცები გახდით?... ჭუდებს რაისთვი-და ატარებთ?...  
რაისი გეშინიანთ — ისინი სულ ხუთხი არ არიან?... თითოს  
თითო ტუკიაზედ მეტი რაი შეუძლიან?...

— რაი კენათ შავთვალასი, ძალა აღმართსა ხნავს!... რაი  
გაგვიჩა ღუდუშაურებთან, სემწილის სწორი ხალხი არიან...  
ჰავლია და ყაზახია...

— ზოგი ყაზახია, ზოგი ღუდუშაურიანი!... წამოიძახა ერთ-  
მა მოწილეულმა ბიჭმა: — ჩვენ კი აღარ გვიცხოვორების მაგათა-  
გან-და!... სული მოგბეჭინა ელში!...

— მართალი აშობ, ლთის მაღლმა! მოუწონეს სხვბმა.

— წავიდეთ, გავწუდეთ, ის გვირჩევნია ამ ცხოვრებას!

— მოიცა-და ეფხადა! შეაუენა ერთმა.

— მოცდისა აღარა, ვისაც გული გერჯისთ, მომეუკით! და-  
იძახა იმან და ვასწია, მაგრამ დასარჩენები ისეგ იქ იდგნენ და  
გერ გაეტენათ შებმა დიდი ბატონთან და სემწილის სამსახურ-  
ში მუოფ ყაზახებთან.

— მაშ მე მომეცით თარალი! დაიძსა «შავთვალაშ» და ერთს  
გამოსტაცა ხანჭალი. — მომეცით თქვენი ჭუდი, თქვენ კი დი-  
აცის მანდილი დაიხურეთ და ისე იარეთ.

— მოიცადე, მოიცა, შავთვალაა!... დროება გამოიცვალა,  
რაი უყოთ!... უსამართლოება გაძლიერდა, ნამუსი და სირ-  
ცხვილი აღარაა...

— რაი დროება გამოიცვალა, რას რატრატებ!... ძლიანი  
და აკი ხალხი უწინაც იუო და ეხლაც არის, მხოლოდ უწინ  
ხალხის პირი ჰქონდა, უსამართლოს და მაღის დამტანს მაღე  
მაგიერს გადუხდიდენ... კაცი ნამუსისთვის სცხოვრებდა და  
ნამუსისთვის სიკვდილისაც არ ეშინოდა. თორებ დრო რაია!  
დრო კი არა, თქვენ დაიღუშეთ, თქვენ დიაცებათ გახდით...  
ფურ, ზქვენის ნამუსის! მიაფურთხა მოხუცმა, რომელიც თით-  
ქოს კასწორდა წელში და გაჭურა პირველი მდევარს.

ხალხის შერცხვა, რამდენიმე უმაწვილი ბიჭი გამოუდგა  
მოხუცს, იმათ გამოეკიდნენ კიდევ რამდენიმე და ცოტა ჩოხ-  
ქოლის შემდეგ, მთელმა სოფელმაც იგრიალა და პირველებსა  
გაჭერნენ.

## II

დიდი ორ-სართულიანი სახლი, უხერხულად და უშნოდ  
აშენებული, როგორც უკელა მეელი მებატონის სახლები, გაჭი-  
მულიურ ერთის პატარა მინდოოზედ, რომელსაც სამ-კუთხივ  
ტუე ჰქონდა შემორტყმული და იმის იქთ კი სოფელი იწ-  
ყობოდა. გარს შემოვლებული მაგარი კალაკანი სათოლეურებით  
ნამდვილად საომრად იუო მოწყობალი და, თუმცა ეხლანდელ  
ზარიბაზნის ძალას გეღარ გაუძლებდა, მაგრამ უწინდელ დრო-  
ში კი სწორებ აუღებელ სამსაგრედ ჩაითქვებოდა.

ეს გახლდათ სახლი თავადის გორჯასპ ღუდუშერისა,

რომელიც ხემწიფის წეალობას და თავის ქცევას ისე დაქმისხვილებისა, ისეთი ქონები მიუკრა იმის შეძლებისა და ატაჟულებისთვის, რომ გისერს ძლივს-და იძრუნებდა.

რასაკვირველია, გორჯასპის, ვეამის გასიების გვარად, ძალაც წესიერად ემატებოდა; ამ მიზეზით თითქმის მთელი მთის სალხი სელთ ჩაეგდო, და ამათი ბედ-იღმალი იმის გაფიმუაზედ, თუ წარბის შექმუსკაზედ იყო დამოკიდებული.

სამიახურში ცხოვრება იმან კერ თოლმაჭობით დაიწყო, მერე დაანბეგობით; და ადგილით თუმცა ამზედ მაღლა არ წასულა, მაგრამ ჩინება, წეალობა და სახუჭრები გი უწევეტლივ ემატებოდა. ან რად უნდოდა ადგილის გამოცვლა, როდესაც მთელი მთის სალხი, უსამართლო ძალ-დატანებით დაამშვიდეს, დაამონეს და დღემდის აღარულებინებენ. იმას, რის გაგონებაც კი უგელასათვის შესაძლწუნებელი არის \*).

გორჯასპ სცხოვრებდა, ჰეგლეფდა სხვების და თითონ კი იმოსებოდა; სუქდებოდა და შატივი და ძალა ემატებოდა.

უოკელი ბენიერი დღე უაღნის (ხარჯი) გადასახადად დადგა იქაურის ხალხისთვის და ისიც უოკელის უარის უთქმელად უზიდავდა; ცხვარს, ხბორებს, ბატქნებს, უგელს, კრისი, ფულს, უგელაფერს რაც კი სახლში მოეპოვებოდა და ეს უგელა გორჯასპის სასლში ჩაინთქმებოდა.

გორჯასპ მემკვიდრეობით მთის კაცი არ იყო; იმან თავისი სამიახური ერთს მთის მებატონებსთან დაიწყო და, როგორც ზევითა ქსთქვით, თუმცა თოლმაჭად ირიცსებოდა, მაგრამ საჭმით კი დიდის ბატონის ბაზიერობას აღარულებდა და

\*) იხილუ «დროება» 1880 წლისა «მოხვევები და იმათი ცხოვრება»

როდესაც ხუკის მებატონე სახადიროდ გაშძანდებოდა თავის  
ჭრა-მექებრებით, ურიცხვის ცხენოსნებით და ქვეითა ხალხით,  
ზატონი გორჯასპ შეკიდოდა ბუჩქებში, შეიუვანდა მექებრებს და  
ხმის ჩახრინწიანებამდის გაჭკილდა: «შავო ძაღლო, შენ ძაც-  
ხონე, შავო ძაღლო, შენ ძაცხონე!... ძანდ არისა!... ძანდ არი-  
სა!... გაგებარა შენ ნუ მომივყდე!... ჴა, ჴა, ჴა, ჴა, ჴა!..»  
ხან მოუწერილებოდა და ხან მოუმსხვილებოდა ხმას იმის დაგვა-  
რად რა როგო მექებარი იდგა იმის წის და რა გვარად იქნებ-  
და ქუდის:

დროება გამოიცვალა, გორჯასპ შეიქნა ხუკის ბატონი  
და თითონ ისც კი, რომელსაც გორჯასპ მებაღლეთა ჴუკ-  
და, შეიქმნა ამ ბაზიერის ქემეცრდომი და სხვებისამებრ დაკ-  
რო მისი ფალანა.

გორჯასპმა იყიდა, თუ ისე იშოვნა, ჰატარა მიწა, იმ მიწამ  
მიიზიდა მეორე, მეორემ მესამე და ამ გვარად კარგად და  
რგვლად შემოზღუდა იმის სამოვლობელო. მამულს მიემატა  
უმები და გახურდა მუშაობა!

ამ ხალხს გარედ გორჯასპს მიეხვია კიდევ ერთგვარი  
ხალხი, რომელიც არც მოჯამაგირედ ჩაითვლებოდა, არც უმე-  
ბად და არც სხვა მოხელე ხალხად. თუმცა იმათ ღვთისგან გა-  
ნაჩენი არა გააჩნდათ-რა, არც გორჯასპისაგან ეძლეოდათ რა-  
მე, მაგრამ უოველოვის კი გამოშრანჭებინი, ცხენებით და კი-  
ბეში საკმაო სასარჯოთი დაბძანდებოდენ! საიდან რას შო-  
ულობდენ, სად რას ჰულობდენ, გადაწევილოთ კერავის გა-  
ნასუქებდათ, მაგრამ აუ ენები კი უურში ერთმანერთს. წას-  
ჩერჩედებდენ, რომ «ამ და ამ დამეს გორჯასპის ბიჭებმა  
ესა და ეს მგზავრი გაფარცვეს, ესა და ეს დუქანი გატეხეს და  
სხვა. რას გადაწევილობდათ, რომ ეს უკედა გორჯასპის უხილვა-

ლად კურ მოხდებოდა, არც წილ-დაუდებელი დარჩებოდა ჩინებული და სახელოვანი მებატონე, ოომელსაც საქმე ისეთის ცხიერებით მიჰყვანდა, რომ უკეთა ჭირობდენ: გორჯასპის მთადგან მოშორება და მთის ხალხის არუელება ერთი იქნება.

ერთის საღამოს, სწორედ იმ საღამოს, ოოდესაც ზემოთავში აღწერილი შემთხვევა მოხდა, გორჯასპ თავის ბალვონზედა ბძანდებოდა და შეეჭურდა ჩინებულს ჩაის, დანით საჭრელს ნაღებს და მობრაწულს ნაზუქს, ოომლისთვისაც კვერცხსა და კარაქს სიუკითლის ფერი მიეცა.

ეხლა გორჯასპის დაენებებინა სამსახურისთვის თავი და სტეპებოდა შისაურის განსკენებაში.

იმისი ცოლი, გატელარჭული, გასიებული გომბიო, გატითლებულის და მუდამ ოფლიანის სისით და ხელებით, გატელარჭულის და ჭყატანის თავსაჭრავით შესლზედ, იქვე «იდო» კრესლაში, ოომელშიაც ძლივს ნატელიურ დ უოკელ წამოდგომაზედ კრესლო თან უნდა აჭუოლოდა და ბიჭებს უნდა გაეთავისუფლებინათ მძიმე ტკირთისაგან ნაზი. ქალ-ბატონი.

ამას დაუმატეთ პატარა ტანი, მოშკებული ხორცი, ოომელიც, მთელს ტანზედ, ნაკუთ-ნაკუთად ეკიდა, დიდი და წითელი პირისახე, დიდორონი ჭროდა მუდამ გაჭუტილი წარბებულებისგან თვალები, და თქვენ შეგძლებათ დასხლოებით წარმოიდგინოთ, საპატიო კნეინა ღუდუშაურის სურათი.

იქვე ბძანდებოდა გამხდარი, გადაული პატარა ტანის გაცი, პატარა ურიელის წერით და გრძელის თხელის ცხვილით. ეს გაბლდათ ახალი დიაბეგი, ოომელიც ხლებოდა გორჯასპის. იმისი მისრა-მოხარა, იმისი პასუხები, მუდამ ცმუგვა და მოკრძალვით ლაპარაკე ამტკიცებდა, რომ განუსაზღვრელს

თაყვანს სცემდა გორჯასპის ღირსების და აშეარად ეშინოდა  
რომ სახლის-ჰატონის არ მოეწადნა იმის ჭიათუავით. გასრუსა,  
მიწასთან გასწორება, რომელიც ისე ადგილად შეძლო იმ დროს,  
იმ ადგილების ღმერთს.

— საშინელი მხეცი ხალხი გახდავთ, ეს მთის ხალხი...  
დაიწუო დანბეგმა და ჭიაუელას მზგავი გძელი კისერი გადა-  
იგდო გვირდზედ.

— ოო, საშინელი! წამოიძახა ბოხ ხმაზედ სახლის ჰატ-  
ონმა.

— კერაფერი ჩამიგონებია.

— მაგათ მათრახი, მათრახი და მათრახი... მისცა რჩევა  
ისევ სახლის უფროსმა.

— მათრახი, მაშა?... მთის ხალხი ბრიუვია, გაუზდელი,  
თუ ერთხელ ნება მიეცი, თავზედ წამოგვასხდებიან. დაუმატა  
ქალბატონმა და გადისკა სელცახოცი შებლზედ, რომელზე-  
დაც ღვილი წურწურით ჩამოსდომა.

— აა, ამასწინად, ბატონი, დაიწუო ისევ დანბეგმა,— ხომ  
მოგეხსენებათ ხალხი ბეგრით შემსას ზიდავს, აძლევენ გვიტან-  
ციებს, მემრე იმ გვიტანციებს. ჩემთან წარმოადგენეს და მე უნ-  
და მივიღო ფული ხალხის დასარიგებლად... მომივიდა კვა-  
ტანციები, ადარ მახსოვს რამდენიმს საენისა გახლდათ, მივი-  
ღე ფული სამას სამოცდა-ხუთი თუმანი და ხალხი დაკური-  
ბე...

— სულა? იკითხა გორჯასპიმ.

— დიალ, შიშით შეხედა დანბეგმა.— ბოლოს წარმოიდგი-  
ნეთ, ამიტუდენ: რომ სამას სამოცდა-ხუთი თუმანი კი არა,  
შეიდას ოც-და-ათი თუმანი გბებდება!

— ბიჭოს! გაკვირვებით წამოიძახა გორჯასპიმ.

— სწორედ აგრე გასლდათ, თქვენმა სიცოცხლეში.

— საიდგანაო, რა ვიცითო?

— რა მოგახსენოთ!... ერთი მაგოდენა ფული კიდებ გმერგბია... გადამეტიდნენ და აღარ მომეშვნენ... «ნუ დაგვღუპავთო, რად გინდათ ჩვენი ცოდვათ.»

— ცუდად მოჭრეულ ხართ, გაიწყვეტინა მებატონებ.

— დიანიგი გაფითოდა და ენა-დაბმულმა ძლიგს-ლა ამორი ხმა.

— რ-ო-რ-ორგორ?

— ისე, რომ ნახევარი მიგიცია!

— უცნაური კაცი ხარ! მაშ სულ ხომ არ მისცემდა? დაუძრა ცოლმა.

— ნახევარი კი არა, სულ მივეც კნეინავ...

— არა მაგრა კი რად ანბობ?... მე ხომ ვიცი, რამდენიც გამოდის ფული... ჰქომისრიტად, რომ ცუდად მოჭრეულ სარ, წარმოსთქვა გორჯას სპიდ.

დიანიგმა ჩაღუნა თავი, ტუჩების თრთოლა დაუწეო, მთლად გაიწურა, დარწმუნდა, რომ დამალვა აღარა სერხებოდა:

— მაშ რა უნდა მექნა? წარმოსთქვა იმან.

— რა უნდა გექნა?... სულაც არ უნდა მიგეცა!

დიანიგი ერთბაშად გაცოცხლდა. ის სრულებით სხვა საუბარს მოელოდა და ერთბაშად — დასე ბედს — რა სიტუაცია გაიგონა!

— სულაც არ უნდა მიმეცა? გაუკირებით და მოცოცხლებით ეკითხა იმან:

— რასაკეირკელია?...

— ეგ როგორ შეიძლებოდა?! წარმოსცდა დიანიგს, რადგანაც სხვა-და-სხვა მოაზრებამ თავ-დავაიწყებამდის მიუქანა:

— ალბად შეიძლებოდა, რომ ჩემი ქმარი გუშანებათ! შეღვირა ცოლმა.

დანბეგმა იგრძნო, რომ სისულელე წამორთოშა და ისეგ მოიკუნტა.

— არ როგორ... ჯერ არ უნდა გამოგეცსადებინა, რომ ფული მოგივიდა... რამდენიც უნდა ეთხოვათ, შენ უნდა გეპასეუხნა: «ჯერ არ მოსულა, მე რა გიყოთ, ხომ იცით რესები არაან და დფეს-ხვალობა იციან-თქო...» მერე მოსწერიდებოდათ სიარული... მასუკან დაიბარებდი ერთს ათი-ოდე პატა, ხაცვალს და მიღების ბარათს. ხამოართმევდი... მაგაზედ ადვილი რა არის?

— როდი მომცემდნენ! ცოტა თვალების მაღლა აწერთ და ხმის კანკალით გაბედა დანბეგმა.

— განა იმას ეტეოდი, რომ ეს ფულის მიღების ბარათია?... უნდა გეოჭა: ეს პროტოკოლია ამა და ამ საქმეზედ, თუნდა ეტეოდი, რომ სახემწიფოდ მიწა უნდა გამოგიყდესთ-თქო... იმათ ვითხვა: არ იციან და რა მიწის სახელს გაიგონებდენ, მთელი სოფელიც კი სელს მოაწერდა, არამც თუ რამდენიმე კაცი.

— დიალ, დიალ...

— ნახეთ, რომ შეაძლებელი უოფილა. ნიშნის მოგებით დაუმატა ცოლმა.

— აბა კნიაზ გორჯასპისთანა ჭეკა მე ვინ მომცა? დაიმდიბლა თავი დანბეგმა, რომელსაც ისე შენინდა გლეხების-თვის მიცემული სამას სამოც-და-ხუთი თუმანი და გულმა მწუხარებით დაუწეო ძეგრა-

— რა მომივიდა, რა მომივიდა! რაზედ დავიღუპე თავი! ჭიდებობდა ისა და იწუებდიდა თავის უტენო გოგრას. მთრთოლ-

ვარე სელმა რამდენჯერმე გაიწია თავში შემოსაკრავად, მაგრამ დაიხსებება შეიკავა, რათა ამ გვარის საქციელით თავადისადმი დირსეული პატივისცემა და ზრდილობა არ დაერღვია.

— აი ეგრე უნდა, ჩემთ კარგო, თორებ უოველთვის გახ-  
რევილი დარჩები!... ვინც იშოვის ასამე, მაღლებშიაც იმასა აქვს.  
პატივი, უძმებისა და მშევლელსაც ის იშოვის, ვინც შენსავით  
მოიჭევა, იმას მაღვე ამოუსმენ პანჩურს. ოთ! შეძლება და  
ფული დიდი რამ არის... ფული საპონია ჰეავა... ურემინორომ  
ჭრიჭინს დაიწყება, საპონის ამოსცხებულ და გაჩუმდება, გაი  
იმას ვისაც ღერძის გასაჩუმებელი საპონი გერ უშოვნია.

ამ დროის ბიჭი შემოვიდა, უურში რაღაც წასჩურნეულა  
ბატონის, რომელიც წამოდგა და სახლში შევიდა.

— როცა მაგისთანა საქმე გქონდეთ, ჩემს ქმარს უნდა ჰქით-  
ხამდეთ, დაიწყო კნეინამ, ცოტა სიჩუმის შემდეგ და მოიწმინ-  
და ჩამოშვებული ტუჩები, რომლის ნაპირებშიაც დორბლი მოს-  
დგომოდა.

— ამის შემდეგ უთქესოდ საქმეს როგორ-და დავიჭირ!

— აბა, რაზედ დაკარგეთ ისე უბრალოდ სამასი თუმანი?

— სამას სამოც-და-ხუთი! ოხვრით გაუსწორა დაინბეგმა.

— წელი კარგად გითხრათ ჩემმა ქმარმა, ფული საპონია  
ჰეავსო...

— სწორედ, სწორედ, თქვენ ნუ მომიკვდებით!

— რა გენალულებოდათ სამოცი თუმანი საპნად წასულიყო  
და სამასი თქვენ დაგრჩენოდათ?

— ასი წასულიყო, ჯანი გავარდნოდა — ორასი... დანარჩენი  
ხომ მე დამრჩებოდა!

— რას ბძანებთ? გააგრძელა კნეინამ. — გამოუცდელობა ძნელია.

ისინი ამ ტებილს საუბარში იუპნენ; დირსეული კნეინა

არიგებდა დიანისეს, რჩევას აძლევდა და სიუთხილით არწმუნებდა, რომ იმისი ქმარი ჭრისა ღერძია, რომელსაც საპნის ამოცსება უნდა და ამის შემდეგ ფიქრი აღარ უნდოდა, უკელაფერი რიგზედ წავიდოდა.

სანამ მქადაგებელი მაგალითებით ამტკიცებდა თავის საუბაოს, და მოწაიე განსაკუთრებულის უურადღებით მოისმენდა იმის სიტყვების, გორჯასპთან კაბინეთში შემოვიდა ორი მთლად შეიარაღებული ემაწვილი კაცი და მდაბლად თავი დაუკრია.

— ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა.

— გავიმარჯოსთ, გაგიმარჯოსთ! რა გინდეთ?

— შენი დღეგრძელობა.

— სხვა?

— ა რა, შენი ჭირიმე... ეს ზაღიაშვილი გუგუა გახდავთ.

— კო, მერე?

— ამას მეტად მოსწონს ერთი ჭალი, იმის გატაცება უნდა შენი ჭირიმე და შენს დაუკითხავად ვერ გაუსწენია.

— კარგი, კარგი, ცოტა ფიქრის შემდეგ წარმოსითქვა გორჯასპიმ. მერე ჭალი რას ამბობს?

— იმ ჭალის სახლში კაცი არავინა ჭიათუ. ერთი ბებერი სულაუზებული დედა-კაცია, ჟებიანა იმ ჭალისა და ის არ სხადის, თორემ, რამდენჯერ ვითხოვვეთ — იცრუა უცნობმა.

— თუ შენი წყალობა გმექნა, ჩვენ სხვა არა გვინდა-რა.

— წყალობა წყალობაა, მაგრამ თუ ჭალი არ ისურვებს?

— ჭალის ვიღა ჭირითხავს შენაი ჭირიმე, უწინდელი დრო ხომ აღარაა, რომ თემობით გამოგეხვიდნენ?...

— მართალია, მაგრამ თუ ჭალის არ უნდა, მნელია.

— შენ რათ გავიკირდება, ხემწიფის სწორი კაცი ხარ! შენს  
სამსახურისაც არ შევიტჩენთ,

— კაცები გუავსთ ვინმე? მოლბა მებატონე, რა სამსახურ-  
ზედ დაპარაკი ჩამოვარდა.

— გვეავს შენი ჭირიმე. უპასუხსა უცნობმა და უბისაგენ წა-  
ღლო ხელი.

გორჯასპიმ მსაუნაგად თვალი გაადექნა და რადგანაც იცო-  
და ამ მოძრაობის შედეგი რაც იქნებოდა, უფრო მხიარულად  
დაუმატა:

— მაშ საჭმე გაჩალხული უოფილა! — წადია და მოიტაცეთ,  
მისცა დასტური მებატონემ.

— მოვიტაცებთ, შენი ჭირიმე, მაგრამ შენი წყალობაც გვინ-  
და. ამ სიტუაციას ერთად უბიდეს ამოიღო ნაკუში გამოკ-  
რეული რალაცა, გამოხსნა და მიართვა გორჯასპის.

— ეს რა არის? ღიმილით იყითხსა იმან, თუმცა ძალასნ  
კარგად იცოდა, რაც იყო.

— შენი სამსახური, შენი ჭირიმე, შენი სამსახური... ცო-  
რასათვის ნუ გავგიწურები და კიდევ შენ ხელთ გახლავართ...  
გიდებ გიმსასურებით.

— რადა სწერდებოდით, რადა? მიცემული სახსაროდ იჯიბა  
გორჯასპიმ და დაუმატა: — განა უამისოდ კი არ შეგეწეოდით.

— სულ შემწე სარ და სულ მწყალობელი, შენი ჭირიმე!...  
ხებს შესით უდგია სული, ღვთის ძაღლმა!... ცოტასათვის  
ბოდიშს კიხდით, სულ ცხრა თუმანი გახლავს და კიდევ გა-  
გოწევთ სამსახურს.

— კარგი, კარგი... ჩემს ბიჭებსაც გამოგაყოლებით, დახნ-  
ბეგიც აქ არის, იმის უზასებიც წაიუკანეთ და მაგას კი მე  
თითონ მოველაპარაკები.

— შენი წყალობა მოგვცა ღმერთმა, ჩვენც არ დავგარებავთ სივეთეს.

ამითი გაათავეს ლაპარაკი და მჭითხველმა კი თავიდგანვა შეიტყო, რომ «ციკლ» ამ ხალხმა მოიტაცა.

## III

გუგუა იუო შეძლებულის გაცის შეიღი და მაშასადამე რა-  
ოდენადმე სხვებთან შედარებით განებრვებული; ლამაზი, მოხ-  
შენიღი, გულ-გეთიღი გუგუა მთის სალხის ჩვეულებაზედ აზ-  
დებოდა. მთელი საღამოები და უქმი დღეები მამა-ბიძანი უამ-  
ბობდენ მთის სალხის წარსულს ცხოვრებას, იმათ სასიათსა  
და ჩვეულებაზედ, თემის პირის სიმაგრეზედ და ღალატის სი-  
სამაგლეზედ. მაგის გარეც, იმის აღზრდაზედ დიდი მოქმედე-  
ბა ჰქონდა თემის ყრილობას, იმათს გადაწყვეტილებას და სხვა  
გგარის სახალხო ყრილობას, რომელზედაც სათემოდ ლაპარა-  
კობდენ საერთო საქმეზედ, ხალხის ბედ-იღბალზედ. მართალია,  
გუგუას დროს სალხზედ ზრუნვა: გადავიდა თვითეულს პირ-  
ზედ, რომელიც უმაღლესის მთავრობისგან ინიშნებოდა; მარ-  
თალია, სახალხო ყრილობა თან-და-თან უფრო იშვიათდ ხდე-  
ბოდა და ჰქარგავდა თავის ფერს და ხალხზედაც ისეთი მოქმე-  
დება კედარ ექნებოდა, როგორც ადრე, მაგრამ გუგუას სასიათ-  
ზედ მაინც დიდი შთაბეჭდილება იქონია.

გუგუა ადრე დაობლდა; დარჩა მარტო მოხუცის დედის  
ხელში და როგორც უპატრონობას, საცვლებმა და ისაულებმა  
ძალა მიაყარეს. ამ გვარი ცხოვრება კი იმისთვის ახალი სკო-  
ლა იყო, რომელმაც თავის სასიათი დაადო. ის შექვია ხვეწ-

ნას, მიუკრებას, რათა თავიდგან აუცდინა მეტის-მეტად უფ-  
მერთო და უსამართლო მუშაობა. ცოტა ხსნს შემდეგ მოუნ-  
და ცხვრის პატრონობა, რადგანაც იმათ მწერესი, რომელსაც  
ცხვარი ჰყავდა დაზიარებული, ვადა გაუვიდა.

მეცხვარობაში შეეჩინა სითოხოელეს, კაუ-კაცობას და ამსახავის-  
თვის თავის გადადებას, რადგანაც უამისოდ მეცხვარის ცხოვრება  
შეუძლებელია; იმათ საერთო ინტერესი, აუცილებელი ერთმან-  
ერთის მიუკელება იქამდის აერთებს, რომ დალატი და ამსახა-  
ვებისთვის თავის შენახება შეუძლებელი ხდება, რადგანაც მუ-  
დამ სხვის ადგილებში მხეტებელნი მარტო საერთო ძალით და  
ერთ-შირობით იცვამენ თავს და უამისოდ გაცალკევებულნი შე-  
იქნებოდენ სხვა-და-სხვა გვარის ძალის დამტანის ხალხის  
მსხვერპლად.

თავის მეცხვარეობაში გუგუს აკონდებოდა ის უსამარ-  
თლობა და ძალა, რომლითაც თავის სიობლეში ისე აწეალებ-  
და მოხელე ხალხი, აკონდებოდა თავისი დედა, რომელიც არა  
ერთსელ ატირებულა მდუღარე ცოტელით იმ ხალხის უსამარ-  
თლობით და გული ემღვრეოდა და ნელ-ნელა ხდებოდა იმათ  
მტრად. ის გარეუავდა ცხვარის საძრვალზედ, მთელი დღე მარ-  
ტო დასტრიალებდა თავს და ამ გვარი სიმარტოე კი უოკელ-  
თვის ამუშავებს კაცის გონებას. ამ გონების მუშაობაში, თავ-  
ში იბეჭდება ის გადაწყვეტილება, რომელიც იმისმა ჰქეუამ გა-  
მოიკელია, და ამ გვარის გამოგვლევაზედ არა მცირედი მოქმე-  
დება ჰქონია წარსულს ცხოვრებას, წარსულს შთაბეჭდილებას. ერთს ზაფხულის დღეს, გუგუა მოვიდა თავის სოფელში, რა-  
თა ხატში წაუკვნა «დოლის თავი» \*), რომელიც მწერესის სა-  
ზოგადოდ თავის ხატისთვისა ჰყავთ გადადებული.

\* ) პირველი მამალი ბარეკანი.

ის მოიტოთ, მოიკაზმა, გაურია ბატეანი მწევმისა, ორ-  
მელსაც ხატში უნდა მიერება იმ სოფლის ბატქნები და თი-  
თონაც გაუდგა მთას, სადაც ნადირობით აპირობდა სალოცავ  
ადგილს გასკლას.

გუგუა გავიდა ნარიანის ჩონჩხებში სწორედ იმ დროს,  
ორდესაც ამაყად ამართულს გათეთრებულს ყინვარს მზის უკანას-  
კნელი სხივების კვირკვინი დაედგა და თავის სიმაღლიდგან სიამა-  
ყით გადმოსცემეროდა გამხეცებულს თერგს. თერგიც ათას  
ნანჩქარებს ისროდა ჭიდგან ჭიაზედ, ჭაფებოდა, იკრებოდა  
ბურთსავით, განიბნეოდა წკრილს ნამად და გამაცოცხლებულს  
ფარდახტად ედებოდა ყხოსიერს სავერდის მზგავსს ნაზის ფე-  
რადით აჭრელებულს ბალასიანს კელებს, — გაჭრონდა რაღაცა მე-  
დიდური, თითქოს ერთ-ხმად გადაჭცეული გრიალი; ომელიც  
ხან ამაღლდებოდა და ემზგავსებოდა გამძვინვარებულის ლომის  
სმას, ხან შეკარებულის ნაზ სურჩეულად გადაჭცეოდა, იმის-  
დაგვარად თუ ქარი საიდგან და რა ძალით დაჭირავდა, რა რი-  
გად დატრიალდებოდა ხეეულს და უსწორ-მასწორო. მთებში. ეს  
იყო რაღაც ამაყი, მედიდური ხმა, გათამამებული ღრიალი,  
ღრიალი, ომელშიაც გამოისმოდა ათას-გვარი დამუგავეშელი  
და გულის აღმძრავი ნაზი სმები.

გუგუა დაურდობილი თავის თოვზედ, მოხიბლული მშე-  
ნიერის სურათებით და სეტარების აღმძვრელის ხმებით, გაჭუ-  
რებდა მთებს, სტკებოდა და ნაზს, მარტო მთის საღხისავან  
ნაგრძლებს, ნებიერებას ეძლეოდა.

ის ამ გატაცებაში იყო, ორდესაც ცის ტატნობაზედ, ერთ  
ფიწალო კლდის წკერზედ, გამოჩნდა «ხარ-ლალი» \*), რომე-

\*) ხარლალი — რამდენიმე წლის მამალი ჯიხვი.

ლიც იქამდის გადმოიზნიქა კლდეზედ, ოომ კაცი ითიქრებდა — გადმოკარდნას აპირებსთ; მაგრამ პატიოსანი პირუტები, თით-ქოს ერთხმად გაჭერებული დარჩა და შებლი მიუშვირა გამაგ-მაგრილებელს ნიავს. შეუჩერ თვალს ის უკრებლია ქისგან გამოკეთილი ეგონებოდა, ისე გაუნძრევლად და გადმოხრილი იდგა. ცოტა სანს შემდეგ წყნარად გაიქნია თავი, გადახტა მე-ორე კლდის კინწიროზედ და სელის-გულის ოდენა ადგილზედ ჰათხივე ფეხი ერთად მიტანილი შესდგა. იქიდგან გადმოხტა მესამეზედ, მეოთხეზედ და ამ გვარად დაწყო კარჯიშობა იმ მარტო შესახედათაც გულის გამსეთვს კლდებზედ, თითქოს უნდოდა ეჩერების თავის სიმარდე და ფეხის ძარღვების სი-მაგრე.

გუგუა გასცეროდა და მოელოდა, ოომ სათოუედ მოახ-ლოვდებოდა, მაგრამ სარ-ლალი იმ ადგილს არა შორიდებოდა. მოხევე წამოდგა, მოეგარა მოას და მაღვიო სათაური ისე წა-მოუარა, ოომ ან ჯისკს არ დაენახა, ან ქარს სუნი არ მიეუა-რა იმისგან. მონადირე გადაწვა კლდეზედ და ისეც დაინახა ჯის-კი, ოომელისაც კარჯიში მოსწუებოდა, გასულიყო კლდის ნა-პირად ამოედო სამი ფეხი ქეშ, მეოთხე კი პირდაპირ გაემკი-რა და ისე დაწოლილიყო. ნისლი, ოომელიც წყნარად მოცუ-რამდა მთის წერზედ, მიასლოვდა ჯისკს და ნახევრად გახვია შიგ. პირუტებს ეტუობოდა, ოომ იმას ასამოვნებდა გრილი, ნოტიო ნიავი, ოომელიც ნისლის აუცილებელი თანამეზავრია და ამის გამო სიამოვნებით იწვდიდა კისერს და აგებდა თავს მომავალს ნისლს. გუგუამ გაღუშვირა თოვი, მაგრამ შენანდა პირუტები, რადგანაც არ უნდოდა სიამოვნებს მოექლო იმის-თვის. მაგრამ დაჭირა ქარმა და თეთრის გაპენტილის ბამბასა-ვით ნისლი საჩქაროდ წამოვიდა. მოხევეს შემინდა, ოომ ნის-

დი ჯიხვს არ გადაჭივარებოდა და იმისთანა ხარ-ლალი ხელიდა  
გან არ გამოუწალა. გავრჩდა თოფი, შესტა ჯიხვი და რამდენ-  
ჯერმე გადატრიალდა ჭარში, გადმოვარდა კლდეზედ და ჩაიქა-  
და ქვების შეა ხევში.

— კელავ უფრო! შემოესმა გუგუას, ოომელმაც მოიხედა დ  
შორიახლო დაინახა ყაზახი ჰავლის.

— გამარჯვება ჸავლიაუ! მხიარულად დაუძახა გუგუამ, ოო-  
მელმაც გასროლის შეძლებ თოფის წმენდა დაუწყო.

— ძალუამ ჯიხვი მოჭეალ!... მეც ძაგას გეპარებოდი, ძაგ-  
რამ ღმერობა შენ მოგვა. უთხრა ახლად მოსულმა.

— ჩემი თოფი ყირიმია, შეიდ ლარიანი. ამაფად უპასუხა  
გუგუამ.

— თოფიც კარგი გქონია და თგალიც ძარჯვე, ღოის ძალ-  
ლება!...

ჸავლიამ და გუგუამ დააწეს თოფები, გაიგეთუს წრიაპე-  
ბი, რადგანაც ჯიხვთან ჩასასკლელი გზა მეტად ძნელი იყო  
და ზამთრიდგან დარჩენილი ყინულიცა ჭერნდათ გასაჭლელი.  
აიღეს ჭოხები და ზედ დაბჯენით, ჩქარის სირბილით ჩაიარეს  
ისეთი ძღვილი, რომელიც ამ ადგილებს შეუჩევანს კაცს გა-  
უსკლელად ეჩვენებოდა.

ჸავლიამ წამოიგიდა ნადირი და ორნივ თავის თოფებთან  
ამოკიდნენ; იქ მოაგროეს გამხმარი ბალახი დ ცეცხლი მოუკიდეს,  
რათა იმის შუქზედ ხალხს გაეგოთ, რომ მოხადირებს ხარ-ლა-  
ლი მოუკლეავს და ეს კი სასახელო იყო, რადგანაც ხარ-ლალუ-  
ბი ისეთს მოის წვერებში დადიან, სადაც უკელა მოის კაციც  
კერ შეჭირავს. მოხადირებმა დასკენეს რაოდენსამე ხანს, შე-  
ქანჭლეს გულ-ლვიძლის მწვადები და გასწიეს სატობას. ჯიხვი  
ისევ ჸავლიას ეკიდა, რადგანაც იქაურ მოხადირეთა წყულე-

ბით, იმასაც ნანადირებში წილი უნდა ჭირობდა, ოოგორც ნა-  
დირობის დროს შეხვედრილს. იმათ გადიარეს რამდენიმე შედა-  
და გავიდნენ ერთს ვაკე მთაზედ, ოომლის ერთს მხარეზედ,  
ამართულიყო პატარა გორაკი და ამაზედ აეშენებინათ უბრალო  
ჭიჭების გალავანი და შეაში პატარა ნიში «წერის სპასესნებ-  
ლოზის» სასელობაზედ. გალავნის იქიდგან გადმოჩანდა დრო-  
შები, ოომელთაც მსუბუქი ნიავი აფრიალებდა. ვაკეზედ მოჩან-  
და მრავალი ხალხი, სხვა-და-სხვა ფერს ტანისამოსში. ერთს  
ადგილს შეურილიყო ყმაწვილი ხალხი და გაემართა ტაშ-ფან-  
დურა, მეორე ადგილს დაებათ ფერსული და ასე ატარებდენ  
დროს. ზოგიერთებს მიჰყვანდათ ნიშთან ბატკნები, იქ ჭილამ-  
ლენ დევანოზები, დაამწყალობებდენ, ღმერთს შეაკედრებდენ პატ-  
რონს და სისხლში ამოვლებულის თითოთ ჯვარს გაუკეთებდენ  
შუბლზედ. მერე პატრონები დაავლებდენ საკლავს ხელს და  
თითოლით ჩაათრებდენ საარაუე ჭეაშთან, სადაც მღოცებულთათვის  
საერთოდ სადილი მსადდებოდა.

გუგუას და პაკლიას თვალი შეკრეს და უფრო ყმაწვილი  
ბიჭები იმათაკენ ძახილით გაიქცნენ:

— მონადირენი, მონადირენი! ხალ-ლალი მოუკლავსთ! და  
რა მიუახლოვდებოდენ, შესძახებდენ: — გვლავ უფრო! ისინი  
მივიდენ ერთს ადგილს, მონახეს თავიანთი ბინა, ჩამოხსნეს  
ბავლიას ჭიხვი, ოომელსაც მოსჭრეს რებები და ხატს ხვეწითა  
და მუხლის ურთ მიართვეს. მერე გამოვიდენ მოთამაშები და  
დაუწეს უურება.

— შეხედე-და, შეხედე. წაჭრა მკლავი პაკლიამ თავის ამხა-  
ნას.

— რაია? იკითხა გუგუამ.

— თოლექი სადა გაჭის? გაიკვირვა ჰირკულმა და დაუმატა:  
— ციკოს კერ ჭიშედავ?

— აბა სადაა, სადა? იკითხა გუგუამ-და გულმა ძალზედ ძეგა  
რა დაუწეულ.

იმას არ ენახა ციკო, მაგრამ იმდენჯერ გაეგონა იმისი ქა-  
ბა, იმაზედ ლაპარაკი, სიმღერა, რომ როგორც მომეტებულს  
წილს მოხევეთ უმაწვილ-კაცობას, იმასაც ნეტარებად მიაჩნდა  
ციკოს დანახვა, იმისი გაღიმება და შეხედვა.

— გერ, გაუშვირა ხელი შავლიამ.

გუგუამ შეხედა და გაშტერებული დარჩეა იმას თვალ-წინ  
წარმოუდგა ჩვიდებულ-თვრამეტის წლის ქალი, რომელიც თამა-  
შობდა ერთს უმაწვილ ბიჭთან. ციკო თამაშობდა ბავშურის თავ-  
დავიწყებით და აშკარად ეტუობოდა, რომ მთელი იმის არსე-  
ბა ამ წერის სიამოვნებას შეეპურო. ციკო დართოდა, ეცლებოდა  
თავისთან მოთამაშეს, შეხედავდა გვერდზედ და გაუძვრებოდა  
მკლავებ ჭკეშ, რათა გაშორებული შემდგარიყო და იქიდგან წენ-  
რის გრაციით საკსე მოძრაობით გაეჭარებინა, აეღელგებინა. ის  
გარბოდა გაცი მიზდევდა, გზას უკრავდა, უოველის ღონისძიე-  
ბით ცდილობდა თამაში შეეშაფა ქალისთვის და მოულოდნე-  
ლად წინ დახვედრით დაემორჩილებინა ცტკიტი გოგო, მაგრამ  
ციკო განთქმული მოთამაშე იყო, იმისი ხელში ჩაგდება აგრე  
ადგილი არ იყო. ორნივ ცდილობდენ მოედალათ ერთმანერთი,  
მაგრამ თითქოს განგებ გასაჭიბოებლად გამორჩეული ვერც-  
ერთი ვერა სჯობნიდა; კინ იცის რამდენს ხანს გაგრძელდე-  
ბოდა ეს თამაში, თუ ერთხაშად ერთის მხრიდგან უკირილი არ  
მოხმენოდათ და არ გაეგონათ:

— ქადაგი, ქადაგი ავარდა!

ხალხი გაიჭია იმ ადგილისგან სადაც ერთი შეა-ხნის გა-

ცი დაჩოქილი ეჭირათ რამდენსამე ქუდ-მოხდილს გაცს, ორ-  
შელნიც ღმერთს ეხვეწებოდენ, რომ შეიძრალოს აკარდნილი  
ქადაგი და ათვემენის-ან სურდა ამ ხალხისგან დიდებულს  
«წერის-სპას-ანგელოზის.» ამ კაცებს მაგრად ეჭირათ ქადაგი,  
რადგანაც ის აწყდებოდა აქეთ-იქით, შეუწეალებლივ სცემდა მუხ-  
ლის კვერებს დედა-მიწას და შესაძლწუნებელის ხმით გაჭირდა:  
— მე ვარ წერის სპას-ანგელოზი, მე ვარ წერ-ჭიდარის სპას-  
ანგელოზი!... დაჭკარგეთ სარწმუნოება განს?... მინდოდა ცეც-  
ხლი გადმომეგდო, მაგრამ წმინდა «გივარგი» ჩაგვიდგა შეა!  
წმინდა გივარგი ჩაგვიდგა შეა!..» შემინებულმა ხალხმა არ იცო-  
და რაზედა წყრებოდა «სპას-ანგელოზი» და ამისთვის უკელამ  
ქუდები მოიხადა, უკელანი დაკცნენ მუხლებზედ და დაჩოქილი  
წმინდა «გივარგის» ეგედრებოდენ, რომ შეიძრალოს და დაიხ-  
სხას სპას-ანგელოზის რისხვისგან.

ციკლც სხვათა შორის მოსულიყო აქ და დაჩოქილი შეჭ-  
უტებდა ქადაგს, როდესაც იკრძნო, რომ ხელი ვიდამაც წაჭ-  
კა. იმან მოიხედა უკან და დაიხახა გუგუა, რომელსაც იმის  
უგან დაეჩოქნა.

— ბედ-შაო, ხელს რას! იკვრეცინები? შებრუორა და შებუზ-  
ღუნა ციკომ.

— აქეთ მოიხედეთ ქალაისა? რას უცმერ მაგას! უპასუხა გუ-  
გუამ და ჩაუცინა.

— რაი გაღრიჭებს?

— მიხარიან და ისა.

— მისარიან და ისა! დაღრუჭით გაუქირცხსლა ციკომ და და-  
უქმარა: — რაი გასარებს?

— შენი ნახვა, ცხო რაი?

ქალმა კიდევ შებლეთა და თუეც ქადაგს დაუწერ უურჯ  
ძა და გუგუა გი გამტერებით უურებდა იმას.

— ქალა! კიდევ წაჭენა ხელი გუგუამ.

— დამესესენ, აგრემც დაგიპრემება თოლაი!

— ღთის მადლმა, რომ მე უნ აფარ მოგეშვები!

— სანამც გრძენებია.

— წემი უნდა იქნა.

— მაგას ნასამ, უპასუხა ქალმა, წამოდგა და სხეგებს გაერია.

გუგუამ გახედა ქალს და მთლად აურეოლდა. უეჭრა მიმა-  
ვალს თვალი და იგრძნო, რომ იმისი მოშორება შეუძლებელი ხდე-  
ბა. გადასწუყოდა, რომ ბედი იმისთვის დაუწერია ეს ქალი  
და სიკვდილადაც რომ დაუჯდეს, თავს აღარ დაანებებდა. ის ამ  
ფიქრებში იყო, როდესაც ხელი წაჭენა პავლიამ და ხარხარით  
უთხრა.

— რაი?.. თუ არ მოგედო?

— მომედო ღთის მადლმა და მალზეც მომედო!

— კარგია განა?

— ღჭი მეტი კელარია უპასუხა გუგუამ და ჩაჭერდა თავი.

ამ დღიდგან დაიწურ გუგუას მოუსცენებელი მდგომარეო-  
ბა და პავლია კი ყოველის ღრუნისძიებით ცდილობდა გაეხურ-  
ბინა აღმრული გრძნობა. ერთს დღეს გუგუა დაღონებული და  
მწარედ შეწუსებული იყდა დუქნის კარებთან და ელოდა ბიჭეს  
მარილი გამოეტანა, რომელიც საქოსლისთვის მთაში უნდა წა-  
ეღო.

— რას დაღონებულხარ, გონჯო? შექუმრა პავლია, რომე-  
ლიც რე მივიდა.

— რაი კქნა, აბა? მხოლების აწევით უპასუხა გუგუამ და შე-  
იწვია დუქნში. პავლია როგორც ყაზახი, მუქთად სმასა და ქამას

დახვეული, სიამოვნებით შექვება და დაიწყეს სმა. სტაქანი მოჰკვა სტაქანის, ჩატექას, რონივ შეწითლდენ, რონივ შეზარდ ხაშდენ. ღვიძის ძალამ როთავეს ენა გაუსსნა, როთავეს მოაწადინა რაღაცა გაფ-კაცობის სასელის გამოხენა და ამის შემდეგ შირველი აური იყო ციკოს მოტაცება. ისინი გამოვიდნენ, იმოვეს როიოდე ამხანაგი და გასწიეს გუგუს სახლში, სადაც შერის ჭამაზედ და ქეითში გარდასწუვიტეს ეს განზრახეა აერულებინათ.

## IV

გუგუმ მოტაცებული ჭალი აშენად და დაუმალაზდ გადატარა მთელი სოფელი, მიუგანა თავის სახლში და იქ კოშკში შეივენა, სადაც ჩაიგერა გარები.

ციკომ, რომელიაც პირველსავე შემთხვევაზედ გული შემოჰკოდა, როდესაც გონის მოვიდა, სანთლის შექვედ გაარჩია, რომ ის იწყება ჩალაზედ და გუგუა ელექტორდა.

პირველი გრძნობა, რომელიაც გულში გურიბინა, იყო წარმოაუქმედი ზიზღი, ამ ძალა-დატანებისგან აღმრუდი.

ის წამოვარდა ფეხზედ და შეშინებული მიჯუნჭა კუდილი თან.

გუგუა მხიარულის და მოღიმარის სახით წავიდა იმის გენ.

— არ მომექარო! შექვირა ციკომ.

— რაღა არ მოგექარო, ჩემი ხარ, ჩემო უკელავ, ჩემი!

— რაღისთვი კიქები შენი?... მე შენ არ მიუვარხარ.

— რაღისთვი, რაი დამიშავებია?

— იმისთვი, რომ გონჯი ხარ.

— ქალაუ! ჩემი დღენი შენთვის დამილევია, შენთვის ჩამოვ-  
მდნარვარ და ფთის მაღლმა თავსაც აღარ დაგანებებ.

— რაი, ვინდა ჩემგან, რაი?

— შენი სიუკარული.

— «დაგიბრმა თოლი!»

— შემიუკარე, ნუ მღეპ.

— «არაუ!»

— ერთი მანც მაკოცე.

— «არაუ, არაუ!»

— მაშ თუ არა და მალად გაკოცებ, უთხრაამ გუგუ და  
მოხვია ხელები.

ციკოს გუგუმა დაუწეო ცახცესი და თავის თავი დაღუ-  
შულად ჩასთვალა.

— აჟა! მაგის მუტი კარობა აღარ გაქმის?.. რაი სასელია ქალის  
ძალადობა.

გუგუს შერცხვა და ხელები უნებურად ჩამოუცვივდა.

— მაშ შემიუკარებ? ცოტა სიჩუმის შემდეგ ჭყითხა იმან.

ციკოს თავში გაუედვა აზრმა, რომ აქ ეშმაკობის მუტი არა  
გამოდგებოდა-რა და ამისთვის უპასუხა.

— აბა, რაი ვიცი!.. მაწვალებ-და. ამ დროს პირკულად შესედა  
ქალმა გუგუს თვალებში და გაურიცოლდა.

იმის თვალებიდებან გამოერთა რაღაცა უხილესი ცეც-  
ხლი, რომელმაც ერთხმად მოხიბლა ციკო, ააურეოლა, სიტ-  
უკა გაუწევიტა პირში. გუგუამაც იგრძნო, თუმცა გამოურბებ-  
ლად, ეს ძალა და აშენად ამჩნევდა რომ რაღაც ცელილება ხდე-  
ბოდა იმის გულში. ციკოს სიტუაციმა თავ-ბრუ დახვის გუგუს,  
დავალთ დაუბნელეს და იმედმა სასიჩმოვნოდ «ციკლიგი» დაუწეო.

— მაშ რომ არ გაწვალო, შემიუვარებ? წენარად და გულის ცემით წარმოსთქმა იმან.

— რაი კიცი, თხვდალუნებით უპასუხა ჭალმა.

— ციკო! უური მომიგდე... მე შენ ეგრე მიუკარხარ, კირე, რომ თუ გაჲირდა, შენც მოგვლავ, თავისც მოვიკლავ და შენ კი ადარავის დაგანებებ.... მე შენი ძალდატანება არ მინდა, მიუკარხარ, მებრალები კადეც, გამოგიტაცე დ ეხლა შენმა სი-ტუშბმა იმედი მომცეს. მე მინდა შენც გიუკარდე და ამად და-კიცდა... ეს იცოდე აქედგან-კი არსად გავიშებ.... როცა შეგი-უგარდე, მითხროდე.

— აგრე, ცახცახით უპასუხა ჭალმა.

ამის შემდეგ გამოსასვლელად გამობრუნდა გუგუა და ციკომ თავისუფლებდ ამოისუნთქა, მაგრამ კატმა რა კარს მიაღწივა, გამობრუნდა ისევ, წარმოდგა რამდენიმე ნაბიჭვი და შედგა,

— ჭალაუ, ერთაი კოცნაი რაი გაგიხდა? - ერთაი მაკოცე.

— არა, არა, დღეს არა!

გუგუამ ხელი ჩაიქნივა, გამოსარუნდა და გამოვიდა. გა-რედ.

საკვირველი საქმე შეემთხვა ამ დროს ციკოს გულს... როდესაც გუგუა გამოდიოდა, უოკელი იმის ფეხის გადადგმა რაღაცა უცნაურის მღელვარებით ასურვებდა იმის დარჩენას, ეს სურვილი თანდათან ემატებოდა და როდესაც კარტი გარედგან გადარაზა, ჭალი იმ მდგომარეობამდინ მივიდა, რომ კინალა დაბუვირა:

— დაბრუნდი, მე შენი კარ!

ციკომ თავი შეიკვა, შესდგა რაღადენიმე ხანი და გაშე-რილი ხელები ისე დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ, წენარად გა-დაისკა შებლზედ ხელი, წენარად ჩამოუკარდა ეს ხელი და

წენარედვე ჩაიკუცა იმავ ადგილას, ოომელზედაც დდგა. რაოდენიმე ხანი ისე გაშტერებული იჯდა, მეორე მოურია თვალებში ცრემლი, გადმოეკიდა ჭუთუთოზედ, გადმოკარდა მარგალიტსაკით ერთი ცრემლი, მეორე, იმას მოჰყვა მესამე, მეოთხე და ქალმა დაწყო ტირილი.

ისა სტრილდა ცხარედ, კადმოსდილდა მშენიერ თვალთაგან ხავადულად ცრემლები, მაგრამ, რომ გევითხნათ რისთვის სტრილდა, აწესებდა, თუ ამშვიდებდა ეს ცრემლები, თოთონაც გერ გიშასუხებდათ.

ეს იურ ხამი უმაწვილის ქალის გულში პირველად ადმრულის ურმსობისა, ოომელიც ამღელებარებს გულს და კი არ ატყობინებს აა მოსდის, აა ემართება, რისთვის იქცევა ჩსე და სხვა რიგად არა?

ციკომ ხახა უმაწვილი კაცი, მშენიერი, წამოსადეგი, ოომელიც აშეარდ თაგ-განწირეულებამდის მისულიყო, რომელიც თავს არ იზოგავდა იმისთვის; ხახა რომ ძალ-დატანებით გაუმატიურება არ ისურგა დ სიუგარულს-კი იქმდის მიუგანა რომ კი-დეც მოუტაცა. როგორც გინდათ სოჭით, ეს უკელა, მთის ქალის შესედულებით, დირსება იურ. მემრე შესეგდა იმის თვალებს და ამ თვალებიდებან რაღაც უსილავი ძალა გამოჭირთა. რომელმაც იმისკე უნებლიერ დაიმონავა, დაიმორჩილა და ხეტარების ურიანტელი დაუტარა სხეულში. ამისთვისც პირველი გრძნობა ისე ჩქარა, ერთბაშად შეიცვალა მეორე სრულებით მოპირდაპირე გრძნობით.

ციკო გაიტაცა გუგუაზედ ფიქრმა და აშერად წარმოუდგა იმისი სახე თვალ-წინ,

ქხლა ის ციკოსთვის ლამაზიც იურ, მარდიც, მშენიერიც; იმის თვალების შესაძარი თვალები აღარ დაიძალებოდა, იმის

ტუჩქბისთანა ტუჩქი აღარ გაჩნდებოდა. ერთის სიტუაცია ცი-  
კლს გული მოუთმესდა ეფლება იმის მოსვლას.

## V

კარგად მოხათდა, როდესაც «შავთვალას» წინამძღოლებით მთელი სოფელი ჩამოვიდა დედუშაურის გარებობას და იქ შეგროვდა ერთის ჰატარა მოედანზედ, სადაც ლაპარაკი და ხმა-  
ურობა ასტებეს.

უკელაზედ მომეტებულად უკიროდა «შავთვალა», რომელმაც სიმწარით აღარ იცოდა რა ეჭნა.

ამ სოფლის კაცი, ქალი თუ დედაკაცი, არა ჩვეულებრი-  
გის შემთხვევით გაკვირვებულნი, მორბოდენ და გროვდებოდენ  
სალხის გარშემო.

— რა ანბავია, რად მოხდა? ჭითხამდენ ერთმანერთს.

— რაი-ღა რაი ანბავია, ზალიანთ ქალი მოგვტაცეს! დღეს  
ან ჩვენ უნდა გავწყდეთ, ან ისინი.

ჩამოვიდა უფროსი ხალხი, გამართეს მოციქულობა, დაუ-  
წეს ხალხს მშვიდება და მოკეთება მიიწვიეს მოკეთები.

იმათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ თუ ჩხები მოხდე-  
ბოდა, ორი სოფელი ერთმანერთს შეაწყდებოდა და ამის შემდგა-  
ვი არა ერთის დედა ატირდებოდა. ამის გამო ურკელის ღო-  
